სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/252

ქ. თბილისი 01 11 2018 წ.

2018/2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ინტენსიური სასწავლო კურსების გავლის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ოქტომბრის № 01-05-04/263 დადგენილების საფუძველზე, 2018/2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ინტენსიური სასწავლო კურსების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. 2018/2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ინტენსიური სასწავლო კურსების სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის ჩატარდეს 2018 წლის 12 ნოემბრიდან 2019 წლის 12 იანვრის ჩათვლით (იხ. დანართი);

2. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო კომპონენტებში შუასემესტრული გამოცდები (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს 2018 წლის 10, 11 და 12 დეკემბერს; დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს 2019 წლის 14 იანვარიდან 16 იანვრის ჩათვლით; დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2019 წლის 17, 18 და 21 იანვარს, ხოლო დამატებითი გამოცდები - 2019 წლის 22 იანვრიდან 26 იანვრის ჩათვლით (იხ. დანართი);

3. სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსი, სემინარი) წამყვანი პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი) სტუდენტთა შეფასების შედეგები შეიტანოს არაუგვიანეს შეფასების ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა (17 საათამდე);

4. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:

4.1. ინტენსიური სასწავლო კურსების დაწყებამდე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია კონსულტაციების დანიშვნის პროცესის დასრულების შესახებ;

4.2. დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე ორი კვირით ადრე სწავლების დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ დასკვნითი გამოცდების ცხრილი;

4.3. უზრუნველყონ აკადემიურ დეპარტამენტებთან ერთად სტუდენტთა შეფასების უწყისების შევსების მონიტორინგი;

4.4. ინტენსიური სასწავლო კურსების დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ მოხსენებითი ბარათები ინტენსიური სასწავლო კურსების ჩატარების, საბოლოო შედეგებისა და სტუდენტთა შეფასების უწყისების რეგისტრაციის დასრულების შესახებ;

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (თ. წერეთელი);

6. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2018/2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ინტენსიური სასწავლო კურსების გავლის გრაფიკი

| ფაზა | | |